საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCIS

სიმინდის დაცვის სისტემა

(რეკომენდაცია)

თბილისი
2018

სიმინდის დაცვის სისტემა

სიმინდს ძირითადად აზიანებს მავნებელლები - სიმინდის ფარვანა, მდელოს და ბამბის ხვატარი, მღრღნელი ხვატრები, მავთულა ჭიები, მახრა, ბუგრები, აზიური ფაროსანა და სხვ. დავადებები - დიპლოდიოზი, ფუზარიოზი, ნიგროსპოროზი, პელმინთოსპორიოზი, სიდამპლე, ბუშტოვანი და მტვრიანი გუდაფშუტა და სხვ.

სიმინდის მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებებია:

1. სწორი თესლბრუნვა, თესვისათვის ნიადაგის მომზადების სწორი სისტემის განხორციელება. აღმოსავლეთ საქართველოში ნაწვერალის 6-8 სმ-ზე აოშვა, შემდეგ დროული, მზრალად ხვნა 20-28 სმ. სიღრმეზე ნოემბრის ბოლომდე; დასავლეთში კი წინმხვნელიანი გუთნით მოხვნა გაზაფხულზე. ადრე გაზაფხულზე აგრეთვე საჭიროა დაფარცხვა და ორჯერადი კულტივაცია და სარეველების მოსპობა, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ისინი მცენარეებს ასუსტებენ, ამავე დროს საშიში მავნებლებისა და დაავადებების რეზერვატორებს წარმოადგენენ;

2. მაღალკონდიციური თესლის თესვა სახელმწიფო სტანდარტების მკაცრი დაცვით;

3. ოპტიმალურ ვადებში (ნიადაგის ტემპერატურა 9-12^{0}C) და სიღრმით თესვა. ადრეული ან ღრმად თესვა იწვევს თესლის ან ფესვების ლპობას, დაგვიანებული თესვა კი ნათესის ბუშტოვანი და მტვრიანა გუდაფშუტებით, პესენის ბუზით, ჭიჭინობელებით დაზიანებას;

4. ვეგეტაციის პერიოდში ნათესების მოვლა. აუცილებელია აღმოცენების შემდეგ ნიადაგის ქერქის დაშლა, აერაციის გასაუმჯობესებლად და ფესვის სიდამპლეების განვითარების თავიდან ასაცილებლად. აღმოცენებული სიმინდის მსუბუქი ფარცხით დაფარცხვა, რიგთაშორისების კულტივაცია იქ, სადაც ადვილად აქროლადი ჰერბიციდები არაა შეტანილი;

5. ორგანული და მინერალური სასუქების, აგრეთვე მიკროელემენტების შეტანა აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით.

ვეგეტაციის პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები

თესვამდე საჭიროა ერთი თვით ადრე დაავადებების წინააღმდეგ სიმინდის თესლის შეწამლა. პრეპარატებიდან გამოიყენება მარშალი, დივიდენდი ნახევრად მშრალი მეთოდით (5-10 ლ. წყალი 1ტ თესლზე).

თესვის წინა პერიოდში, 5-7 დღით ადრე, ნიადაგის მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები: მახრას წინააღმდეგ მისატყუებელი მასალის მობნევა და ჩაფარცხვა. ცრუმავთულა და მავთულა ჭიებისა და მღრღნელი ხვატრების წინააღმდეგ გრანულირებული პრეპარატების შეტანა (მაგ. მარშალი (50 კგ/ჰა)). ამ პერიოდში მავნეობის ეკონომიკური ზღვრებია: მახრა 0,3-0,5 ც/მ^2, ცრუმავთულა და მავთულა ჭიები - 8-10 მატლი/მ, ხვატრები - 0,8-1,0 ც/მ^2.

აღმონაცენის 3-5 ფოთლის ფაზაში ნიადაგის მავნებლებისა და ჭიჭინობელების წინააღმდეგ 0,2% ბი-58 ან პირეტროიდული პრეპარატების შესხურება, განსაკუთრებით ფესვის ყელთან.

ყვავილობის წინ (ივლის-აგვისტო), სიმინდის ფარვანას, ბამბისა და მდელოს ხვატრების, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოიყენება პრეპარატები: ამბუში (0,6

ლ/ჰა), ანომეტრინი (0,4 ლ/ჰა), დეცისი (0,25-0,5 ლ/ჰა), რიპკორდი (0,2 ლ/ჰა), ციმბუში (0,3 ლ/ჰა) და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა მეორე წამლობა, ქიმიური ღონისძიებების მაგივრად კარგია პარაზიტ-ტრიქოგრამას გაშვება (200 ათასი ცალი სამჯერ, 7-10 დღის ინტერვალით). მავნეობის ეკონომიკური ზღვრებია: სიმინდის ფარვანა 1-2 მატლი მცენარეზე, ხვატრები 0,5 ც მცენარეზე.

მოსავლის აღების შემდეგ ზევით აღნიშნული მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ საჭიროა ნაკვეთის გაწმენდა ნარჩენებისაგან, მათი განადგურება და ნიადაგის მზრალად ღრმად მოხვნა.